საქართველოს მთავრობის

დადგენილება №582

2022 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/09/2014, 240140000.10.003.018146) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დადგენილების მოქმედება ვრცელდება იმ შეთანხმებებზე, რომლებიც დაიდება 2024 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**